N გ-21-03/1210
22/04/2021

1210-გ-21-03-2-202104221406

სს „სილქნეტს“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლი მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2021 წლის 29 აპრილს, 15:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მოსამზადებელი სხდომა, სადაც განიხილება სს „სილქნეტის“ წინააღმდეგ შოთა შოთაძის საჩივრის განსახილველად მიღების საკითხი (საფუძველი: შოთა შოთაძის საჩივარი (შ-21-9/1743, 16.04.2021).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, განხილვისათვის საკითხის სათანადოდ მომზადების ინტერესებიდან გამომდინარე, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრებები და მტკიცებულებები კომისიაში წარმოადგინოთ შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

ასევე გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@gncc.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ ან უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომაზე. გატყობინებთ, რომ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თქვენი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება.

დანართი:

1. შოთა შოთაძის საჩივარი (შ-21-9/1743, 16.04.2021).
2. შოთა შოთაძის ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით (შ - 21-9/1800, 21.04.2021).

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია